

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №481

2008 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

### საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 და 30-ე მუხლების, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი – კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა (დანართი №1).

2. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი – იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვის, იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვის სანებართვო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა (დანართი №2).

3. ლიცენზიის/ნებართვის მოწმობაზე ხელმოწერის უფლებამოსილება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება მიენიჭოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის თანამდებობის პირს.

4. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი №3).

5. დამტკიცდეს ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №4).

6. დამტკიცდეს თანდართული გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების ჩამოწერის აქტი (დანართი №5).

7. ბრძანებას გაეცნონ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი, მისი მოადგილეები და თავდაცვის სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი.

8. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

#### დ. კეზერაშვილი

#### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №551 - ვებგვერდი, 11.06.2013წ.

დანართი №1

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური

**ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი – კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობის (ტექსტში შემდგომ – მოწმობის) ფორმა წარმოადგენს წყლისნიშნის 120გრ/მ<sup>2</sup>-140გრ/მ<sup>2</sup> ქაღალდის გამოყენებით ბეჭდვით შესრულებულ ღია ლურჯი ფერის A4 ფორმის ერთფურცლიან მოწმობას.

2. მოწმობის წინა გვერდზე გამოსახულია: საქართველოს სახელმწიფო გერბი, წარწერა „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“, სალიცენზიო მოწმობის დასახელება და ჩანაწერი გაცემული ლიცენზიის თაობაზე შემდეგი მონაცემების შესატანად: სალიცენზიო მოწმობის ნომერი, ლიცენზიის გაცემის თარიღი, ლიცენზიის მფლობელის დასახელება (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, პირადი ნომერი), ლიცენზიის მფლობელის მისამართი, ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა, ლიცენზიის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, ლიცენზიის გამცემი თანამდებობის პირის დასახელება და ხელმოწერა, ბეჭდის ადგილი. მის ბოლო მარჯვენა კუთხეში დაიტანება მოწმობის დამკვეთისა და დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს სახელწოდება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით და რეგისტრაციის ნომერი (არანაკლებ ექვსი ციფრი) (გამოსახულება თან ერთვის დანართის სახით).

3. მოწმობა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

- ა) გილოშურ ბადეს;
- ბ) ხილულ ბოჩკოებს;
- გ) უხილავ და მანათობელ ბოჩკოებს;
- დ) მიკროსტრიქონით შესრულებულ ხაზებს წარწერით „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“;
- ე) ექსკლუზიურ ნუმერაციას;
- ვ) უხილავ წარწერას „სოს“ (იკითხება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- ზ) საქართველოს სახელმწიფო გერბი (იკითხება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- თ) მანათობელი საღებავი, რომელიც გამოყენებულია ნუმერაციაში (ნათება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- ი) საქართველოს სახელმწიფო გერბი შესრულებული კონგრევის მეთოდით.

*დანართი*



**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

**სალიცენზიო მოწმობა**

**№000000**

ლიცენზიის გაცემის თარიღი: \_\_\_\_\_  
ლიცენზიის მფლობელი: \_\_\_\_\_

ლიცენზიის მფლობელის მისამართი: \_\_\_\_\_

ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობა: \_\_\_\_\_

ლიცენზიის გაცემის სამართლებრივი საფუძველი: \_\_\_\_\_

ლიცენზიის გამცემი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი \_\_\_\_\_

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

ლიცენზიის გამცემი თანამდებობის  
პირის ხელმოწერა: \_\_\_\_\_

ბ. ა.

დამკვეთი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.  
დამამზადებელი: შპს „ფორმა“.  
სფს რეგისტრაციის №

### დანართი №2

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვის, იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვის სანებართვო მოწმობის ფორმა და მისი აღწერილობა**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვის, იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვის სანებართვო მოწმობის (ტექსტში შემდგომ – მოწმობის) ფორმა წარმოადგენს წყლისნიშნის 120გრ/მ<sup>2</sup>-140გრ/მ<sup>2</sup> ქაღალდის გამოყენებით ბეჭდვით შესრულებულ ღია მწვანე ფერის A4 ფორმის ერთფურცლიან მოწმობას.

2. მოწმობის წინა გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი, წარწერა „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“, სანებართვო მოწმობის დასახელება და ჩანაწერი გაცემული ნებართვის თაობაზე შემდეგი მონაცემების შესატანად: სანებართვო მოწმობის ნომერი, ნებართვის გაცემის თარიღი, ნებართვის მფლობელის დასახელება (იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული საფირმო სახელწოდება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, პირადი ნომერი), ნებართვის მფლობელის მისამართი, ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა, ნებართვის მოქმედების ვადა, ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძველი, ნებართვის გამცემი თანამდებობის პირის დასახელება და ხელმოწერა, ბეჭდის ადგილი. მის ბოლო

მარჯვენა კუთხეში დაიტანება მოწმობის დამკვეთისა და დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს სახელწოდება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით და რეგისტრაციის ნომერი (არანაკლებ ექვსი ციფრი) (გამოსახულება თან ერთვის დანართის სახით).

3. მოწმობა შეიცავს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

- ა) გილოშურ ბადეს;
- ბ) ხილულ ბოჩკოებს;
- გ) უხილავ და მანათობელ ბოჩკოებს;
- დ) მიკროსტრიქონით შესრულებულ ხაზებს წარწერით „საქართველოს თავდაცვის სამინისტრო“;
- ე) ექსკლუზიურ ნუმერაციას;
- ვ) უხილავ წარწერას “სთს“ (იკითხება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- ზ) საქართველოს სახელმწიფო გერბი (იკითხება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- თ) მანათობელი საღებავი, რომელიც გამოყენებულია ნუმერაციაში (ნათება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ);
- ი) საქართველოს სახელმწიფო გერბი შესრულებული კონგრევის მეთოდით.

*დანართი*



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

სანებართვო მოწმობა

№000000

ნებართვის გაცემის თარიღი: \_\_\_\_\_

ნებართვის მფლობელი: \_\_\_\_\_

ნებართვის მფლობელის მისამართი: \_\_\_\_\_

ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა: \_\_\_\_\_

ნებართვის მოქმედების ვადა: \_\_\_\_\_

ნებართვის გაცემის სამართლებრივი საფუძველი: \_\_\_\_\_

ნებართვის გამცემი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი \_\_\_\_\_

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

დამკვეთი: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.  
დამამზადებელი: შპს „ფორმა“.  
სფს რეგისტრაციის №

### დანართი №3

## **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაცემი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამტკიცებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის (დანართი №2) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე.

2. ეს წესი განსაზღვრავს კონკრეტული სახეობის იარაღის წარმოების გენერალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღის შეკეთების სპეციალური ლიცენზიის, კონკრეტული სახეობის იარაღით ვაჭრობის ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის დამზადების, წარმოების გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის შეკეთების (მოდერნიზებისა და ადგილზე მომსახურების ჩათვლით) გენერალური ლიცენზიის, სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობის გენერალური ლიცენზიის სალიცენზიო მოწმობის ფორმისა და იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის, სამხედრო-საბრძოლო იარაღის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების, საქართველოს ტერიტორიის გარეთ გადამუშავებისა და დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვის, იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირების ნებართვის სანებართვო მოწმობის ფორმის (ტექსტში შემდგომ – სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების) დამზადების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს “მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და ამ წესის საფუძველზე.

4. ამ წესში მოცემული ცნებები გამოიყენება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობით.

### **მუხლი 2. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დამზადება**

1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების დამზადება წარმოებს სამინისტროს შეკვეთის საფუძველზე. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შეკვეთას სამინისტრო აწარმოებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად, შერჩეულ პოლიგრაფიულ საწარმოში.

2. დამზადებული სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანის უფლება აქვს სათანადო მინდობილობით უფლებამოსილ პირს.

### **მუხლი 3. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შენახვა**

1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში.

3. სათავსო, სადაც ინახება სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

4. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმები ინახება ამ ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირთან.

#### **მუხლი 4. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შევსება**

1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების შევსება წარმოებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტში.

2. შევსებული ფორმების შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისად შეიტანება უწყებრივ სალიცენზიო და სანებართვო რეესტრში, რომელშიც ასევე მიეთითება სალიცენზიო ან სანებართვო მოწმობის ბლანკის ნომერი.

*საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2013 წლის 7 ივნისის ბრძანება №551 - ვებგვერდი, 11.06.2013წ.*

#### **მუხლი 5. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების გაცემა**

1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების გაცემა მფლობელზე წარმოებს პიროვნების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე.

2. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების მესამე პირზე გაცემა შესაძლებელია ლიცენზიის ან ნებართვის მაძიებლის მიერ გაცემული მინდობილობისა და პიროვნების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში (მინდობილობა რჩება ადგილზე).

3. ლიცენზიის ან ნებართვის მაძიებელი ან მესამე პირი ხელმოწერით ადასტურებს სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების მიღების ფაქტს უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში.

4. გაცემული სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დამოწმებული ქსეროასლი ინახება საქმეში ლიცენზიის/ნებართვის მაძიებლის მიერ ლიცენზიის/ნებართვის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტებთან ერთად.

#### **მუხლი 6. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დუბლიკატის გაცემა**

1. გაცემული სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა სალიცენზიო და სანებართვო მოწმობის ფორმების დუბლიკატი.

2. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დუბლიკატის მისაღებად ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელმა სამინისტროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილი განცხადება, რომელშიც მითითებულ უნდა იქნეს სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების დუბლიკატის მიღების საფუძველი;

ბ) სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების დუბლიკატის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

3. გაცემულ დუბლიკატს დაესმება შტამპი აღნიშნით „დუბლიკატი“. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების დუბლიკატს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მის დედანს.

4. დუბლიკატის გაცემის შესახებ ინფორმაცია შეიტანება უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრში სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმის დუბლიკატის გაცემის გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

#### **მუხლი 7. გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების ჩამოწერა**

1. სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმები გამოსაყენებლად უვარგისად მიიჩნევა:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმები ექვემდებარება ჩამოწერას ჩამოწერის აქტის შესაბამისად. ჩამოწერის აქტში უნდა მითითდეს გამოსაყენებლად უვარგისი ფორმის ბლანკის ნომერი.

3. გამოსაყენებლად უვარგისი ფორმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №4

ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის აღრიცხვის ჟურნალი

№	გაცემის თარიღი	ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის ნომერი	ნებართვის მოქმედების ვადა	ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის გამცემი				ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის მიმღები				შედგენილი ლიცენზია/ნებართვა				
				გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	ლიცენზიის/ნებართვის ნომერი	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის ფორმები						შენიშვნა
დაბრუნების თარიღი	ჩამოწერის აქტის ნომერი	ლიცენზიის/ნებართვის მოწმობის ნომერი	გვარი	სახელი	თანამდებობა	
18	19	20	21	22	23	24

დანართი №5

გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების ჩამოწერის

აქტი №

ქ. თბილისი

„ \_\_\_\_ “ „ \_\_\_\_\_ “ 200 წ.

წინამდებარე აქტით ჩამოწერილია გამოსაყენებლად უვარგისი შემდეგი სალიცენზიო/სანებართვო მოწმობების ფორმები:

№	სალიცენზიო/სანებართვო მოწმობების ფორმის დასახელება	რაოდენობა	ფორმის ნომერი	ჩამოწერის საფუძველი

აქტის მიხედვით წარმოდგენილი გამოსაყენებლად უვარგისი სალიცენზიო და სანებართვო მოწმობების ფორმების ჩამოწერას ვადასტურებთ ხელმოწერით:

ფორმების გამოყენებასა და  
აღრიცხვა-ანგარიშგებაზე  
პასუხისმგებელი პირი \_\_\_\_\_

სტრუქტურული ქვედანაყოფის  
ხელმძღვანელი \_\_\_\_\_